

## ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი



ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი

საბაკალავრო პროგრამა

თბილისი  
2016

**უნივერსიტეტის დასახელება**

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

**პროგრამის დასახელება**

ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი

**პროგრამის შემუშავების თარიღი**

28/08/2016

**პროგრამის განახლების თარიღი**

28/12/2016

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია**

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია (ინგლისურად)**

Bachelor of Business Administration in Management

**პროგრამის ხანგრძლივობა**

8 სემესტრი

**მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა**

240 ECTS

- ზოგადი მოდული - 60 ECTS
- ძირითადი (major) პროგრამა - 120 ECTS
- თავისუფალი კრედიტები/დამატებითი (minor) პროგრამა - 60 ECTS

**სწავლების ენა**

ქართული

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

**პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია:

- კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს დარგობრივი კომპეტენციები, რომელიც მას საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციაში მიმდინარე ბიზნეს-პროცესების მართვაში;
- მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელსაც აქვს უახლესი ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი პრინციპების შესახებ; შეუძლია, დაგეგმოს და განახორციელოს ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობა თანამედროვე ტექნოლოგიების, ფინანსური გათვლების, მარკეტინგული დაგეგმვის, ოპერაციული ინსტრუმენტების გამოყენებით;
- მოამზადოს კადრი, რომელსაც აქვს კომპეტენცია ბიზნესის ადმინისტრირების ისეთ ძირითად დარგში, როგორც არის მენეჯმენტი;
- ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულის ინოვაციური აზროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც დაეხმარება მას მონაწილეობა მიიღოს კონკურენტუნარიანი საწარმოს შექმნაში;
- მოამზადოს თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქე.

**კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს:

- კერძო სექტორში - კომპანიის საშუალო რგოლის მენეჯერის პოზიციაზე;
- სახელმწიფო სექტორში - შესაბამისი ფუნქციონალური სფეროს საშუალო რგოლის მენეჯერად;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში - შესაბამისი ფუნქციონალური სფეროს საშუალო რგოლის მენეჯერად.

**სწავლის შედეგები**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისთვის გაწერილი კომპეტენციები კურსდამთავრებულს უვითარებს იმ უნარებს, რომელიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

სწავლის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს გამომუშავებული ექნება შემდეგი კომპეტენციები:

- ცოდნა და გაცნობიერების უნარი - კურსდამთავრებულს აქვს ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებული თეორიის ფართო ცოდნა. აცნობიერებს მართვასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ფუნქციონალურ სფეროში არსებულ ძირითად

თეორიებსა და პრინციპებს. კრიტიკულად იაზრებს ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებული საკითხებს;

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - კურსდამთავრებული წარმატებით მონაწილეობს ორგანიზაციაში მინდინარე მენეჯერულ პროცესებში, კვლევით აქტივობაში, ორგანიზაციის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. ეფექტურად იყენებს აკადემიური პროგრამით მიღებულ თეორიებს, ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გადასაჭრელად;
- დასკვნის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებული ფუნქციონალური სფეროების სიტუაციური ანალიზი და ორგანიზაციის უმაღლესი რგოლის მენეჯმენტთან ერთად, შეგროვებული მონაცემებიდან გამომდინარე, შესაბამისი დოკუმენტის მომზადება;
- კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებულს, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შეუძლია ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო პრობლემების გადაჭრის გზებისა და ახალი იდეების შესახებ დეტალური წერილობითი/ზეპირი ანგარიშის მომზადება და წარდგენა ორგანიზაციის უმაღლესი რგოლის მენეჯერების წინაშე, ფართო აუდიტორიის წინაშე. ახალი ბიზნეს კავშირების დამყარების მიზნით, კურსდამთავრებულს შეუძლია საქმიანი წინადადებების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი შეთავაზების გაკეთება პოტენციური პარტნიორებისათვის ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- სწავლის უნარი - კურსდამთავრებული აცნობიერებს ბიზნესისა და ტექნოლოგიების სფეროს ცვალებად ხასიათს და მის მიერ მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარ-ჩვევების გაუმჯობესების საჭროებას. შესაბამისად მას აქვს უნარი ეფექტურად შეაფასოს საკუთარი ცოდნა და შეარჩოს შემდგომი სასწავლო პროცესი;
- ღირებულებები - კურსდამთავრებული მის საქმიანობაში იცავს ბიზნეს ეთიკის ნორმებს, იცის პროფესიული ეთიკის ნორმები, იცნობს მულტიკულტურული საზოგადოების მახასიათებლებს და აცნობიერებს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას. პატივს სცემს გასხვავებული ღირებულებების მქონე ადამიანებს და გარემოს, რომელშიც მოუწევს მუშაობა. ასევე მისი საქმიანობით, ხელს უწყობს დემოკრატიულ ღირებულებების დამკვიდრებას საზოგადოებაში.

### სწავლების მეთოდები

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ისეთი მეთოდები, როგორცაა: ლექცია, სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა.

ლექცია - მეცადინეობები თავისი ფორმატით გულისხმობს ინტერაქტიულ ლექციას.

გამოყენებული იქნება:

ვერბალური მეთოდი - ლექციაზე სტუდენტს მიეწოდება თეორიული მასალა დაგეგმილი თემის ფარგლებში.

ანალიზის მეთოდი - მოხდება საკითხის დეტალურად ჩაშლა შესწავლილი მასალის კუთხით.

დისკუსია/დებატები - სტუდენტები განიხილავენ თემის ირგვლივ წამოჭრილ პრობლემატური საკითხებს, ქეისებს.

სემინარი - მიმდინარეობს მუშაობა ლექციაზე მიღებული ცოდნის განმტკიცების, შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებისა და კონკრეტული თემის/საკითხების ფარგლებში შეფასების მიზნით.

გამოიყენებული იქნება:

შემთხვევის ანალიზი - სტუდენტებს ვთავაზობთ ქეისებს, რეალური მაგალითების განხილვით ხდება მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცება.

პროექტებზე მუშაობა - სტუდენტები მუშაობენ კონკრეტული თემატიკის ფარგლებში. მეთოდი ორიენტირებულია ცოდნის პრაქტიკაში შემოქმედებითად რეალიზებაზე.

დისკუსია/დებატები - სტუდენტები განიხილავენ თემის ირგვლივ წამოჭრილ პრობლემატურ საკითხებს, ქეისებს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - სტუდენტები საკითხს შეისწავლისან კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გზით.

ჯგუფში მუშაობა - სტუდენტები ჯგუფურად ასრულებენ პროექტებს, პრეზენტაციებს და კურსით გათვალისწინებულ სხვა აქტივობებს.

გონებრივი იერიში - მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

სწავლის შედეგები შეფასდება სხვადასხვა მეთოდებით, როგორცაა ტესტები, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალებები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, ანგარიშების წარდგენა და პროექტი.

სწავლის შედეგები შეფასდება სხვადასხვა მეთოდებით, როგორცაა ტესტები, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალებები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, ანგარიშების წარდგენა და პროექტი.

სტუდენტის ცოდნის შეფასება

- სტუდენტის შეფასება და შეფასების კრიტერიუმების გაწერა ხდება შესაბამისი სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ;
  - სტუდენტის მიერ კრედიტის მოპოვება სასწავლო კურსში, ხდება სწავლის შედეგის მიღწევის შემდეგ;
  - სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს შემდეგ ფორმებს:
    - ა) შუალედურ შეფასებებს
    - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
  - შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად არის გაწერილი სილაბუსში.
1. სტუდენტის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია
91%-ზე მეტი	A - ფრიადი	დადებითი
81-90%	B - ძალიან კარგი	დადებითი
71-80%	C - კარგი	დადებითი
61-70%	D - დამაკმაყოფილებელი	დადებითი
51-60%	E - საკმარისი	დადებითი
41-50%	FX- ვერ ჩააბარა- სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება	უარყოფითი
0-40%	(F) - ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი	უარყოფითი

- სტუდენტი დაიშვება დასკვნით გამოცდაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ გამოცდაზე მის მიერ მოპოვებული უმაღლესი შეფასების გათვალისწინებით მას უგროვდება არანაკლებ 51 ქულისა და ასევე გადალახული აქვს კურსით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- გამოცდების აღდგენა ხდება მხოლოდ საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და დეკანის სახელზე დაწერილი განცხადების სასწავლო დეპარტამენტში წარდგენის საფუძველზე;
- საპატიო გაცდენის მიზეზი შესაძლებელია იყოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, სამსახურებრივი მივლინება, სტიქიური უბედურება, ოჯახის წევრის გარდაცვალება და სხვა დოკუმენტაცია რომელიც ადასტურებს სტუდენტის მიერ გამოცდაზე დასწრების შესაძლებლობის არქონას, გამოცდის მსვლელობის დროს;
- გადაწყვეტილებას გაცდენილი გამოცდის აღდგენის შესახებ იღებს დეკანი;
- გაცდენილი გამოცდები აღდგება გამოცდის ჩატარებიდან 2 კვირის განმავლობაში;
- გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა;
- სტუდენტი დაიშვება განმეორებით გამოცდაზე, თუ მან საბოლოო გამოცდის შეფასების ჩათვლით სემესტრულად დააგროვა 41-50 ქულა;
- უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით და აღნიშნული ქულების ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA);
- სასწავლო კურსის GPA გამოითვლება ფორმულით:  

$$GPA = (X-50) \times 0,06 + 1$$
 სადაც X არის სასწავლო კურსში მიღებული ქულა.

GPA-ს გამოთვლის წესი:

რიცხვითი ექვივალენტი	ქულა %
100	4
99	3,94

98	3,88
97	3.82
X	(X-50)x0,06+1
51	1,06
1-50	0

11. GPA გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსების ფარგლებში, სადაც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება;
12. სარეიტინგო მონაცემების მისაღებად გამოითვლება სტუდენტთა სემესტრული GPA, როდესაც დაჯამდება უარყოფითი შეფასებაც;
13. სასწავლო პროცესის ნებისმიერ ინტერვალში სტუდენტების შემაჯამებელი საშუალო აკადემიური შეფასება გამოითვლება ფორმულით:  

$$GPA \text{ (შემაჯამებელი)} = (\sum \text{ თითოეული სასწავლო კურსის GPA } \times \text{ შესაბამის კრედიტზე}) / \text{ ყველა სასწავლო კურსის კრედიტების ჯამზე};$$
14. GPA -ზე დაყრდნობით, სარეიტინგო მონაცემებს ამუშავებს სასწავლო საქმეთა დეპარტამენტი;

### სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა

უნივერსიტეტი სტუდენტების ინდივიდუალური მუშაობისათვის უზრუნველყოფს საკონსულტაციო შეხვედრებს. აკადემიური კუთხით ამ საქმიანობას წარუძღვებიან უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ხოლო ლაბორატორიული და პრაქტიკული საქმიანობისათვის პროცესში ჩაერთვებიან უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები (კარიერული განვითარების ცენტრი, ინოვაციებისა და კვლევების სამსახური). სურვილის შემთხვევაში სტუდენტი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით (btuClassroom) ლექტორთან ჩაეწერება საკონსულტაციო საათზე შეხვედრისათვის. ამას გარდა, სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალური კომუნიკაცია გამართოს აკადემიურ პერსონალთან პირისპირ შეხვედრის გარეშე, ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული სისტემის btuClassroom-ის მეშვეობით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ინოვაციების ლაბორატორია, რომლის ფარგლებშიც, სტუდენტს შეუძლია განავითაროს საკუთარი ინოვაციური ბიზნეს იდეები და პროექტები, ამაში მას მენტორი დაეხმარება, რომელიც უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მენტორთან სისტემური შეხვედრების და კონსულტაციების რეჟიმში ხდება სტუდენტური ბიზნეს გეგმის სრულყოფა. მენტორთან ინდივიდუალურ კონსულტაციას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კარიერული დაგეგმვის ცენტრი.

### აკადემიური თავისუფლება

უნივერსიტეტი აცნობიერებს და სრულად იზიარებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2006 წლის 30 ივნისის რეკომენდაციას: აკადემიური თავისუფლება და უნივერსიტეტის

ავტონომია დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი ელემენტებია. პროფესორს უნდა შეეძლოს არსებული ცოდნის კრიტიკა, ახალი იდეების გენერირება, სამეცნიერო კვლევების თავისუფლად განხორციელება, მოსაზრების შეუზღუდავად გამოხატვა, როგორც წერილობით (მაგ. სამეცნიერო სტატიაში), ასევე ზეპირად (აუდიტორიაში სასწავლო პროცესის განხორციელებისას). პროფესორის საქმიანობაში პოლიტიკური, რელიგიური ან კომერციული დაწესებულებების ჩარევა უნდა გამოირიცხოს. პროფესორის შეზღუდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი, თუ კვალიფიციური ორგანო შესაბამისი სფეროს ექსპერტების მიერ საკითხის შესწავლის შედეგად დაადგენს, რომ პროფესორი არაკომპეტენტურია ან მისი საქმიანობა პროფესიული ეთიკის ნორმებს ეწინააღმდეგება. ჩვენი უნივერსიტეტი ყოველ ღონეს იხმარს რათა დაცული იქნას თითოეული ეს პუნქტი, რადგან, ჩვენ ღრმად გვწამს რომ აკადემიური თავისუფლება იცავს არა მხოლოდ პროფესორს, არამედ სტუდენტს, დოქტორანტებსა და მეცნიერულ აკადემიურ პერსონალსაც, რომელთაც არა აქვთ ხარისხი, მაგრამ მეცნიერულ დისკურსში, სწავლების პროცესში იდეების, აზრებისა და პოზიციების დაფიქსირება და თავისუფლად მონაწილეობა შეუძლიათ.

პროგრამის კურსობრივი სტრუქტურა - იხ. დანართი-#1

პროგრამის კომპეტენციათა რუკა						
კომპეტენციების ჩამონათვალი						
ბიზნესის ადმინისტრირება- მენეჯმენტი	ცოდნა და განობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სასწავლო კურსები	X	X	X	X	X	X
დემოკრატიული მმართველობის პრინციპები 1	X	X	--	X	X	X
დემოკრატიული მმართველობის პრინციპები 2	X	X	--	X	X	X
ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	X	X	X	X	X	X
ციფრული ტექნოლოგიების პრინციპები	X	X	X	X	X	--
მათემატიკა 1	X	X	X	X	X	--
მათემატიკა 2	X	X	X	X	X	--
ინგლისური 1	X	X	X	X	--	--
ინგლისური 2	X	X	X	X	--	--
აკადემიური წერა	X	X	X	X	--	X
საინფორმაციო ტექნოლოგიების შესავალი	X	X	X	X	X	--
მიკროეკონომიკის პრინციპები	X	X	X	X	X	--



მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	X	X	X	--
სტატისტიკის საფუძვლები	X	X	X	X	X	--
ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები	X	X	X	X	X	-
მეწარმეობის პრაქტიკული კურსი	X	X	X	X	X	--
ბიზნეს პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები	X	X	X	X	X	-
მარკეტინგის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
ოპერაციათა მენეჯმენტი	X	X	X	X	X	--
ფინანსური მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
მენეჯერული აღრიცხვის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
ინვესტიციები	X	X	X	--	X	--
ინოვაციების მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
ორგანიზაციული ქცევა	X	X	X	X	X	-
სამეწარმეო სამართალი	X	X	X	--	X	X
პროექტების მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
გაყიდვების მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
საბაკალავრო პროექტი	X	X	X	X	X	X
ლიდერობა	X	X	X	X	X	X
სამუშაოს მოძიება	X	X	X	X	--	--
მომსახურების მენეჯმენტი	X	X	X	X	--	X
ადამიანური რესურსების მართვა	X	X	X	X	--	--
ცვლილებების მენეჯმენტი	X	X	X	X	--	X
სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირება	X	X	X	X	--	X
დაზღვევა	X	X	X	X	X	--
რეკლამა და პრომოცია	X	X	X	X	X	X
ციფრული მარკეტინგი	X	X	X	X	X	X
ბიზნეს ბაზრების მარკეტინგი	X	X	X	X	X	X
საზოგადოებასთან ურთიერთობა	X	X	X	X	--	X
მარკეტინგული კვლევის პრინციპები	X	X	X	X	X	X
ბრენდინგი	X	--	X	X	X	X
საცალოდ ვაჭრობა და მერჩენდაიზინგი	X	X	X	X	X	--

---

---

საერთაშორისო მარკეტინგი	x	x	x	x	x	x
-------------------------	---	---	---	---	---	---